ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/20

I შეკითხვა:

ადვოკატი წარმოადგენს კომპანიას სასამართლოში შრომით დავასთან დაკავშირებით. ამავდროულად, ადვოკატი კომპანიის დირექტორის ინტერესებს იცავს ამავე კომპანიის პარტნიორებთან დავაში, რომელიც ეხება დირექტორის შრომით დავას კომპანიის წინააღდეგ. აღნიშნული ორი საქმე არის თუ არა ურთიერთდაკავშრებული და ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს თუ არა კომპანიის წარმომადგენლობა?

II ანალიზი:

მოცემული შემთხვევა შესაფასებელია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან

დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ორ სხვადასხვა დავაშია ჩართული წარმოამდგენლად, საქმეები ურთიერთდაკავშრებულია კლიენტებისგან მიღებული პროფესიული საიდუმლოებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამგვარი წარმოდგენით ადვოკატის ვალდებულებები კლიენტთა წინაშე ურთიერთსაწინააღმდეგოა. ადვოკატი ერთის მრხივ კომპანიის საერთო ინტერესს წარმოადგენს, მათ შორის მისი დირექტორის და პარტნიორთა პოზიციას და ამავდროულად, კომპანიის მიმართ დირექტორის წინააღმდეგ დავაში ერთვება, მით უფრო როდესაც დავის საგანი ერთია. ორივე საქმე შრომითი ურთიერთბიდან გამომდინარე დავას უკავშირდება და შესაბამისად, ერთი კლიენტისგან ამ საკითხზე მიღებული ინფორმაცია, შესაძლოა ადვოკატმა მეორე კლიენტის სასარგებლოდ გამოიყენოს.

III დასკვნა:

კლიენტის ინტერესებს შორის სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს მეორე კლიენტის ინტერესებს.

მსგავს საკითხზე იხ. წერილობითი რეკომენდაცია 003/20 30.06.20

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.